

ნინო შარაშვილი



გაბუტული

თუ

გაპუტული?

კლასი II

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი: დავით ჯამრიშვილი

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი წებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା କେ ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ?





ერთ დღეს პატარა ანა დიდ
მაგიდასთან დიდ სკამზე დაჯდა.
ხელები მაგიდაზე დააწყო, თავი
დახარა და თქვა:
— გაბუტული ვარ მე!

შემოვიდა დედა.

— რაო, ანა, რა მოგივიდა?

— გაბუტული ვარ მე!

— რატომ, პატარა?

ანა არათვერს ამბობს. აბა,
როგორ უნდა აუხსნას, თუ
გაბუტულია?





ოთახში ხან ვინ შემოვიდა,
ხან — ვინ: ბებია, ბაბუა, მამა.
ყველა ერთ რამეს ეკითხება ანას:
— რაო, ანა, რა მოხდა?
— რამ გააბრაზა ანაო?
— ვინ აწყენინა ანასო?
ანა კი სხვას არაფერს
ამბობს, მხოლოდ ამას იმეორებს:
— გაბუტული ვარ მე!



უცემ დედა ანასკენ დაიხარა,
კარგად შეათვალიერა და უთხრა:
— გაპუტულიო? აბა მაჩვენე?
მოდი, ვნახოთ! თმები არ გაქვს
გაპუტული; წარბები ადგილზეა;
ლამაზი წამწამებიც ხომ გაქვს
და გაქვს... აბა, გაპუტული
როგორ ხარ?



ანა გაოცებული უყურებს
დედას.

- მე გაბუტული ვარ!
- რაო? კარგად არ მესმის:
გაპუტულიო?

ანას სიცილი აუტყდა:

— გაბუტული! გაბუტული! —

შესძახა ხითხითით.

— ააა, — წაეთამაშა დედა. —

გა-ბუ-ტუ-ლი, გა-ბუ-ტუ-ლი...

ახლა ორივეს აუტყდა

სიცილი. იცინის დედაც, იცინის

ანაც.

აი, სულ ასე თამაშობენ

სიტყვებით.

